საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე — მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

15 ივნისი 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №89/17

-- -- 2017 წლის 22 მაისის №-- საჩივრის საფუძველზე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 04 მაისის №89/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- წარმოებაშია სამოქალაქო საქმე -- --, შპს ,,--“-ს და სხვათა სარჩელიდან გამომდინარე, მოპასუხე შპს ,,-- -- “-სა და შპს ,,-- --“-ს მიმართ, სადაც წარმოადგენს მოპასუხე

მხარეს. საქმეზე სასამართლო მთავარი სხდომა ჩატარდა 2017 წლის 18 აპრილს, სადაც მას შემდეგ, რაც დამთავრდა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენა, მოსარჩელე მხარის ახალმა წარმომადგენელმა - -- -- დააყენა შუამდგომლობა და მოითხოვა საქმეზე დოკუმენტების (მტკიცებულებების) დართვა, ისე რომ არ ყოფილა წარმოდგენილი მოსამზადებელ სტადიაზე მტკიცებულების წარუდგენლობის საპატიო მიზეზი (სსკ-ის 215-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად). მოსამართლემ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის უხეში დარღვევით, ყოვლად დაუსაბუთებლად, დააკმაყოფილა შუამდგომლობა და მიიღო გადაწყვეტილება მტკიცებულების საქმეზე დართვის თაობაზე.

-- -- თქმით, არ დატოვა რეაგირების გარეშე მოცემული შემთხვევა, ვინაიდან მოსამართლის ზეპირსიტყვიერი დასაბუთება აცდენილი იყო საპროცესო კანონის ფარგლებს, რაც ლახავს მხარის ინტერესებს და იქმნება ვარაუდი მოსამართლის მხრიდან ადგილი ხომ არ აქვს დაინტერესებას ან/და სხვაგვარ მოქმედებას მხარის სასარგებლოდ.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს ,,--"-ს და -- -- მიერ 2014 წლის 15 სექტემბერს აღძრული იქნა სარჩელი -- საქალაქო სასამართლოში, მოპასუხეების - შპს ,,-- --", ბ.მ.ა. ,,-- --"-ის და შპს ,,-- --"-ს მიმართ, ქ. --, -- -- ქუჩა №1-ში მდებარე შვიდსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის გამაგრება-გაძლიერების შესრულებული სამუშაოსთვის და სახელფასო დავალიანებისთვის თანხის დაკისრების მოთხოვნით.

2017 წლის 18 აპრილს გამართულ სასამართლო მთავარ სხდომაზე, მოსარჩელის წარმომადგენელმა -- -- მხარი დაუჭირა 2017 წლის 04 აპრილს კანცელარიის მეშვეობით წარმოდგენილ შუამდგომლობას საქმეზე მტკიცებულებების დართვის შესახებ.

შუამდგომლობის ავტორი მოთხოვნას აფუძნებდა შემდეგ დასაბუთებაზე: 2017 წლის 21 მარტის სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა -- --, რომელმაც ჩვენების მიცემისას გამოიყენა ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 06.11.2013 წლის №-- და 30.12.2013 წლის №-- დასკვნები. აღნიშნული დასკვნების წარმოდგენა მოსარჩელის მიერ ვერ იქნებოდა შესაძლებელი საქმის მომზადების ეტაპზე, ვინაიდან წარმოადგენდა მოპასუხე შპს "-- --" კუთვნილებას, რომელიც დღეის მდგომარეობით არ ფუნქციონირებს და მისი სხდომაზე მონაწილეობაც ვერ ხერხდება. აქედან გამომდინარე, სსსკ-ის 150-ე მუხლზე მითითებით, მხარე შუამდგომლობდა მათ დართვას.

მოსამართლე -- -- განიხილა მოსარჩელის წარმომადგენლის -- -- შუამდგომლობა საქმეზე მტკიცებულების სახით ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 06.11.2013 წლის №-- და 30.12.2013 წლის №-- დასკვნების დართვის თაობაზე,

მოისმინა პროცესის მონაწილე მხარეთა პოზიციები შუამდგომლობასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილებულიყო.

მოსამართლე -- -- დასაბუთებულად ჩათვალა შუამდგომლობის ავტორის მითითება მოწმის სახით -- -- დაკითხვამდე (რომელიც სამუშაოების წარმოებისას იყო შპს "-- --" წარმომადგენელი) მტკიცებულებების მოსარჩელეთათვის ხელმიუწვდომობისა და საქმის მოსამზადებელ ეტაპზე წარმოდგენის შეუძლებლობის თაობაზე.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო მთავარ სხდომაზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა შუამდგომლობები და განცხადებები ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენის ან გამოთხოვის შესახებ სასამართლომ შეიძლება განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარეს არ შეეძლო მათი წარმოდგენა, აგრეთვე თუ მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და მათი წარმოდგენის საფუძველი წარმოიშვა მთავარ სხდომაზე, ან თუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი შუამდგომლობებისა და განცხადებების წარმოდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე. ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვა მხარეთა თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება გადაიდოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს სასამართლო მთავარ სხდომაზე ახალ მტკიცებულებათა საქმეზე დართვის თაობაზე შუამდგომლობის განხილვის წინაპირობებს, სადაც ერთ-ერთი ასეთ წინაპირობას წარმოადგენს შესაბამისი საპატიო მიზეზის არსებობა (რასაც საჩივრის ავტორი უთითებს), ისევე როგორც შესაბამისი გარემოების არსებობა, როდესაც მოსამზადებელ სტადიაზე მხარეს არ შეეძლო მათი წარმოდგენა.

სასამართლო სხდომის ოქმის თანახმად, მტკიცებულებების საქმეზე დართვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ იმოქმედა სწორედ 215-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოსამართლე -- -- გაიზიარა მოსარჩელის წარმომადგენლის დასახელებული მიზეზი - ,,მხარეს არ შეეძლო მტკიცებულებების მოსამზადებელ ეტაპზე წარდგენა“ და მიიღო გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილების თაობაზე.

ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად არ გამოიკვეთა 2017 წლის 22 მაისის №-- საჩივარში მითითებული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლით განსაზღვრული რომელიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად

(სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრთაგან 15 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტითა და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №89/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი